



№ 32 — 1916 ს ა ს ი
 კვირა, 7 მაგნიამ. 12 კაბ.

წელ. მიმოხევა
გამოცემისა
 ქურნალი წლ. 5 მ.,
 ნახ. წლ. 3 მ. მისა-
 მართი: თბილისი,
 „თეატრი და სხოვნება“
 იოსებ იმე-
 დაშვილის.



ალექსანდრე ივ. ნათაძე ბავშვებით
 (იხ. ამავე ნომერში 6-7 გვ.)

მარიაშობისთვის 7

საზოგადო საზოგადო მოღვაწეობას იქნება მოღვაწეობა. სხვაგან ეგოდენი მნიშვნელობა არა ჰქონდეს, რაოდენიც ჩვენში და იქნება ქეშმარიტი საზოგადო მოღვაწე, ზენაარი ნიქით დაჯილდოვებული, ქვეყნისა და ხალხისთვის თავგამოდებული, სიკეთის ბრმა რწმენით გატაცებული, ნამდვილი მოსაქმე-შემომქმედი ისე მცირე სხვაგან არ იყოს, როგორც ჩვენში...

ისიც მართალია, რომ საზოგადო მოღვაწეობის გზა ნარ ეკლებით ისე არსადაა მოფენილი, როგორც ჩვენში. მაგრამ მიუხედავად ამისა, კაცი ვერც ჩვენს ხალხს დაემდურება: ნამდვილ საზოგადო მოღვაწეთა, მწერალთა თუ მსახიობთა დაფასება, თუმცა გვიან, მაგრამ მაინც იცის...

საზოგადო მოღვაწე უკვე საზოგადოების წევრია, ერთგულიდან სერთომში გადასული: იგი თავისს მე-ს თითქო ჰკარგავს და საცნებით ერის, საზოგადოების, ხალხის სისხლი ს.სხლთავანი, ძვალი ძვალთავანი ჰხდება. საზოგადო მოღვაწეს, თუ იგი მართლა ასეთია, თითქმის პირადი მიდრეკილებანი ეშობა და საზოგადოებრიობის სურვილ-რწმენის წინააღმდეგ ბიჯსაც ვერ გადასდგავს, თუ სურს არ წაიბოროტიკოს...

თუ სული შენი საზოგადოებას უძღვენი, მაშინ ისევე უნდა დაიზოგო სიცოცხლე, ჯანი თუ ძალა, როგორც საზოგადოებას მოუხდება...

საზოგადოება გიძღვნის სიყვარულს, პატივისცემას, ნივთიერ დახმარებას,—ერთის სიტყვით საზოგადოების ზრუნვის საგანი შენა ხარ და შენ—საზოგადო კუთვნილებას,—თუ ქეშმარიტად ასეთი ხარ—რალა ნება გაქვს განგებისაგან ბოძებული ნიქი, იმავე საზოგადოებისგან შექმნილი ცოდნა და საქმიანობის უნარი, ერის სიყვარული და ის სარგებლიანობა, რომელსაც საზოგადოება შენგან მოელის, მოუფიქრებელი საქციელით ანუ განიდაგებული დაუდევრობით ფეხქვეშ გასთელია?!

ქეშმარიტი მოღვაწე არ შელახავს საზოგადოებრიობას და არც უნდა შელახოს...

როგორც ძველი დროის წმ. მამანი—განდვილნი სვეტზე ანუ უღანბანოში დაყუდებულინი, ზეცად ხელაღპყრობილნი, ერთის უზენაესის ფიქრით მოცულნი მხოლოდ ზენაარს უერთებოდნენ, ისევე თანამედროვე ქეშმარიტი მოღვაწე მთელი თავისი ფიქრით, ზრახვით, გრძნობით, ყოველი ნაბიჯით მხოლოდ თავისი რჩეული საგნის ზვარაკი უნდა იყოს: უქმედ, უმიზნოდ არ ვაფლანგოს არც თავისი სულიერ ხორციელი ძალა, არც საზოგადოებრივი ნდობა, პატივი, ზნეობრივნივთიერი ჯილდო...

ვინც წმინდას გულისთ, მაღალის გრძნობით არ აღიქურვება—რა ნება აქვს საზოგადო მოღვაწის სახელს ატარებდეს,—საზოგადოების აზროვნობას მესვეურობდეს?! —

ყალბი გინახავთ თუ არა გაკოტრებულ მოღვაწეობა. ლი ანუ სხვათა თვალის ამხვევი ვაქარი თხჩა-თარაგებზე ცალიერი კოლოფები რომ ჩამოუმწკრივებია: შორიდან მაყურებელს სქრის თვალს, ახლო პატრონს—ხელი რო ჩაჰყოს, ვერაფერს ამოიღებს...

სწორედ ასეთ ყალბ ანუ გაკოტრებულ მოვაქრებებს მოგვაგონებენ ზოგიერთი ჩვენებური მოღვაწენი, რომელნიც საზოგადო საქმეს სათავეში მოჰქცივიან, იხსენიებიან, როგორც თავმჯდომარენი ანუ გამგეობის წევრნი ამა თუ იმ დაწესებულებისა და აქმესკი არაფერს, სრულიად არაფერს აკეთებენ..

იქნება სწორედ ეს იყოს მიზეზი, რომ დაბა-სოფლის ზოგიერთ საზოგადო საქმეთა გარშემო აურზაურია: მოწინავე პირნი ორ ბანაკად გაყოფილან, ერთნი უკვე გაბატონებულნი, მაგრამ არაფრის მკეთებელნი, მეორენი არა გაბატონებულნი, მაგრამ საქმის გაკეთების მსურველნი... შხლა-შემოხლან, ჩოჩქოლს ბოლო არ უჩანს და ვერც საქმე კეთდება...

ნუ თუ ასეთ „მოღვაწეობას“ საზღვარი არ დაედება?!



მარო და მარლამი

მარო.

ორივე ჩუმით მიდიოდა.

— ამასთან ცხოვრება უმაღლესი ბედნიერებაა. თუ იქნება, ეს უნდა იყოს ჩემი ცოლი, სხვა არავინ არ მინდა, არავინ! ჰფიქრობდა ვარლამი.

— ამას შეუძლია, სრული ბედნიერება მიანიჭოს ასალგაზრდა ქალს.

მე და ეს რომ ერთმანეთს შევხვდეთ, ჩვენისთანა ცოლქმარი იშვიათი იქნება. ეუბნებოდა მაროს გული.

იყო ისეთი წამი, როცა ვარლამმა დააპირა მაროსათვის თავისი გული გადაეშალა და გრძობა გაეზიარებია.

— მარო! წარმოსთქვა მან გრძობათა საესე ხმით.

— მე დამიძახებ? უპასუხა მარომ და გულმა ოდნავ ტოკვა დაუწყა.

ვარლამს, ის იყო, უნდა ეთქვა: მიყვარხარ, მარო, გაგიყვებით, უზომოთ მიყვარხარო, მაგრამ შეერთა, გულიდან წამოსული სიტყვები რაღაცამ ყელში შეაჩერა და უკანვე ჩააბრუნა.

გაბედულობა გაწყდა და ვარლამმა უგემურათ წარმოსთქვა.

— რა მშვენიერი ამინდია, მარო!

მაროს პასუხი არ გაუცია. ის სულ სხვა სიტყვებს მოელოდა და იმედის გაცრუებამ გული დაწყვიტა.

ჩუმით მივიდნენ კარებამდე. ვარლამმა ქული ოდნავ აიწია და ხელი გაუწოდა.

— ნუ თუ ჩვენსა არ შემოხვალთ? დაეკითხა მარო.

— დადის სიამოვნებით, მაგრამ საქმე მაქვს.

— მაშ როდის მოხვალთ?

— ხვალ უსათუოთ.

გზახედ ვარლამი თავის თავს ჰკიცხავდა, თავის ხასიათს, გაუბედაობას ემდუროდა: რომ ეთქვა ის რისი თქმაც სწყუროდა, რაღაცა ამიდზე სულელურათ, უაზროთ არ გადასულიყო, მისი ბედილბალი ახლა გადაწყვეტილი იქნებოდა.

— არა, წერილს დავსწერ, დღესვე, ამ საათში დავსწერ! უფრო თავისუფლათ, უფრო თამამათ, უფრო სრულათ, უფრო გულახდილათ გადავუშლი ჩემს გრძობას. ჰფიქრობდა გზახედ მიმავალი ვარლამი.

მოვიდა თუ არა სახლში, მოუჯდა მაგიდას და დაიწყო წერილის წერა. ის სწერდა მაროს იქას, რასაც საზოგადოთ შეყვარებული ყმაწვილი კაცი პირველათა სწერს თავისი სიყვარულის საგანს.

დაგუბებულ გრძობას გამსავალი მიეცა და ვარლამმა თავისუფლათ ამოისუნთქა, თითქოს მძიმე ლოდი აწვა გულზე და მოშორდაო...

— მაროკო, რომ დამიძახა, მე მაშინათვე ვიგრძენი, რომ მას რაღაც სხვა, არაჩვეულებრივი უნდა ეთქვა; მან კი ცივათ განაგრძო: კარგი ამინდიაო, ჰფიქრობდა მარო სავარძელში და თან მამაკაცებს უწიოდა: ქალის ტანჯვა უყვართ. გულში ერთი აქვთ, პირით კი მეორეს ამბობენ ხშირათაო და სხვ.

— მაროკო, ისე თბილათ, ისეთი ტკბილი აღერსიანის კილოთი დაიწყო და ისე ცივათ, ისე უგრძობლათ, ისე მშრალათ კი დააბოლოვა! არა, არა, შეუძლებელია; მას უსათუოთ, უეჭველათ რაღაცა უნდოდა ეთქვა. რატომ აღარა სთქვა? რამ დაუშალა? თუ რამე გადასწყვიტა, რაღას ყოყმანობს? აკი დააპირა რაღაცის თქმა? რაღათ შედგა? ყველა ამგვარი კითხვები დიდხანს ირეოდნ თავში.

მზე ჩასული იქნებოდა, როდესაც მოსამსახურე ქალმა მას წერილი გადასცა.

მაროს ფერი ეცვალა, გული აუტოკდა. ჩქარის ნაბიჯით თავის ოთახში შევიდა. კონვერტი გზახია, წერილს სწრაფათ თვალი გადაავლო და ბოლოზე დახედა.

— ვარლამი! წარმოსთქვა მან. ხელები აუკანკალდა, ტუჩები აუთამაშდა, სკამზე ჩაჯდა, მაგიდაზე ხელები დააყრდნო და დაიწყო კითხვა.

მაროს სისხლი თავში აუვარდა, თვალეზში წამოაწვა. გაფითრებული სახე ახლა აენთო. სიტყვა სიტყვას შეერია, სტრიქონი სტრიქონს; წერილს ბინდი გადაეკრა, ასოები

ათამაშდენ, სიტყვები მაღლა ხტოდენ, სტრიქონები ქანაობდნენ და მთელი წერილი ღელავდა, როგორც აშიშინებული მინდორი ქარში.

მარომ ბოლომდე ჩაიკითხა, როგორც იქნა, თვალები დახუჭა და მაგიდაზე უშობი დააყრდნო. ტანში ყრუანტელი ურბენდა, ხელები და ფეხები ოდნავ უკანკალებდა.

მარო აღგა, ლოგინზე წამოწვა, თვალეზზე ხელები დაიფარა. როდესაც პირველმა აღელვებამ გაიარა, მთელს სხეულში სისუსტე იგრძნო. გაშალა წერილი და უფრო დამშვიდებით დაიწყო კითხვა.

ვარლამი მას მოსწონდა; ახლა კი გულში ცხოველი, წარმტაცი ყოვლად შემძლებელი სიყვარული იგრძნო, რას არ მისცემდა რომ მასთან ერთად იმის გვერდით ახლა ვარლამი ჰყოფილიყო მას ლაპარაკი არ უნდოდა, მხოლოდ სწყუროდა, რომ მასთან ერთად ჩუმად მჯდარიყო, ხელი ხელზე დაედო და მისი სიახლოვე, მისი სუნთქვა მთელი მისი არსება ეგრძნო.

ავარაკი ის განაპირს დიდი ტყე იყო. ცხვის ხეებს მრავალი წლები თავს გადაელოთ: ანკარა მდინარე გალიბულ ქვებს ეხლებოდა და მაღლა ხტოდა, ხტოდა და ქაფდებოდა, ქაფდებოდა და შხეფებს ისროდა, თავქვე ეშვებოდა და შიშინებდა, მირუხრუხებდა და, ქვებს რომ გაცილდებოდა, ნელო გასრიალდებოდა და წყნარად მიექანებოდა, სინამ გზაზე ახალ ქვებს არ შეეხებოდა.

მდინარის პირას ისხდენ მწვანეზე ვარლამი და მარო. მაროს მარცხენა ხელი ვარლამის მუხლზე ჰქონდა გადადებული და ორივე სახე გაბრწყინებული მდინარის ცეკვას აღევნებდენ თვალს.

— აქასოდეს ჩემს სიცოცხლეში არა ვყოფილვარ ამდენათ ბედნიერი, როგორც ახლა, ყუბნობ და მაროს ვარლამი. ვისაც ამგვარი მდგომარეობა არ გამოუცდია, ის უბედურია, უბედურია.

მარო ჩუმად უსმენდა ვარლამს, უზომო, უსაზღვრო ბედნიერებას ჰგრძნობდა და უხმოთ განსჭვრეტდა თავის ნეტარებას.

— შენთან ერთად, ჩემო სიცოცხლე, ჩემი სიცოცხლე, ჩემი ცხოვრების ყოველი

წამი ტკბილი, ნეტარი, სიყვარულით გამოთბარი იქნება. განაგრძობდა ვარლამი და ხელზე ხელს უქერდა მაროს. თათბირობდენ, თუ ვის მოიწვავდნენ ჯვარის წერაზე, საით გაემგზავრებოდნენ შემდეგ, როგორ მოეწყობოდნენ, როგორ წავიდოდა დილით ვარლამი სამსახურში და როგორ იქნებოდა მოლოდინში მარო იმის დაბრუნებამდე და სხვა და სხვ.

— ზოგჯერ იმდენი საქმეები მაქვს, რომ ხუთ საათამდეც ვერ ვბრუნდები სახლში. შენ ამგვარ შემთხვევაში არ უნდა მომიცალო; უჩემოთ უნდა სქამო სადილი. ეუბნებოდა ვარლამი.

— რას ამბობ ვარლამ. უშენოთ სადილს რა მაქმევს? წარმოსთქვა მარომ, რომელსაც იმ წამს მართლაც ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა ექამა სადილი უვარლამოთ, როცა ერთად იქნებოდნენ.

მაღე დაიწერეს ჯვარი და ყირიმისაკენ გასწიეს.

ივ. ჯანაშია

(დასასრული იქნება)

ზაფხულის ნიშნა

ზაფხულის წვიმა სატრფოს ცრემლია, მუქ წამწამებზე ჩამორხეული, — მის გამქვირვალე ბროლის წვეთებში ნაზი სევდაა გამოხვეული...

ხან მწუხარებით გულს შეაღამებს — და დამაფიქრებს შემოდგომაზე, ღრუბლიან დღეზე, მქკნარ ყვავილებზე და უიქედო ცრემლთა კრთომაზე, — ხან კი მზიურა მაისის ხალისს ჩამოატარებს ყვავილთა გულზე, — და ბრილიანტად თრთის და კისკისებს სულ გაზაფხულზე, სულ სიყვარულზე!..

ზაფხულის წვიმა სატრფოს ცრემლია, მისებრ ზღაპრულა და მამზავდველი, ხან ნაზი როგორც თვით სატრფოს ფიქრი, ხან ნაღვლიანი და გულის მქრელი!..

ქვიშებით

2 ვაჟა-ფშაველას

წმინდა ხელოვნება

რუსეთი არც ისე დაბობია მოდგაწყთა კრებებით, კრებები კი შინაარსიანი მუშაობით; კრებების განდევნებითაა განხორციელებასე, ან მათი ცხოვრებაში გატარების ხელის შეწყობასე კი არას ვიტყვით. ჯერ კიდევ თორმეტი წლის წინად მოსკოვში მოწვეულ ჰელდგოგოურ კრებაზე გამოთქმულ აზრების მინიმუმი მაინც რომ ტაქტარებისა ცხოვრებაში, მაშინ დღეს სწავლავანთალები სთერაში სხვა სურათის მყოფრებული ვიქნებოდით.

ამ დიხს შესანიშნავ კრებაზე, სხვათა შორის, სწავლა-აღზრდის საქმეში საერთოდ თეატრის და კერძოდ საბავშვო თეატრის მინაშენელობასაც სათუძვლადანად შეეხენ. ამ საკითხზე დოკტორ როსინიმიო ბრანდ სათუძვლადებო მიხსენება წაიკითხა. მისი შეხედულებით, ბავშვის ნიჭის სუფს და აგებულებას თეატრი, რასაც აზრებს, არას აზრებს. ამ შეხედულებას ის უმთავრესად იმით ხსნიდა, რომ, ფიზიკურ განვითარებას რომ თავი დაჯანებოთ, ბავშვის განვითარებული გრძობა-გონება სრულებით ვერ წვდობა სტენასე ნახულის დედა-აზრს და ეს კი ხომ ხელოვნების მიზანს არ შეეფერება? დოკტორი როსინიმიო საბავშვო თეატრის წინაღუდეგ იღაშქრებს. აქ ის რუსეთის მთავროფე ვიროგოვს იხმარებს და ამტკიცებს, რომ ბავშვებს არ ძალუძო წარმოდგენის ხელოვნურად დადგმა, არც ხელოვნურად განცდა და ასეთ შემთხვევაში რა ფასი უნდა დაეფას საბავშვო თეატრსა? ეს საკმაოდ დიდი ხნის უკან გამოთქმული აზრია და არ ვიცით ამ სიდა შეხედულებას როგორ შეხვდენ მაშინ რუსეთის სტენის მოდგაწენი.

იქნება ბ. დოკტორს ამ შეხედულების გამოთქმა თეატრის მტრობათ ჩამოართვის ზოგიერთებმა, მაგრამ მე კი დაბეჭდით ვიტყვო, რომ ხვეის დროში წმინდა ხელოვნების მისებრ ფაქიზ-მატივისმეფელი რა ბლომად იყვენ წმინდა სათეატრო ხელოვნებას ბეგრძან ოდნავ მაინც შერხებოდა თვისი ნამდვილი, წმინდა სახე და ხე-

ლოვნების მიზანიც უფრო მატეადებული იქნებოდა, ვინემ დღეს არის.

საბავშვო თეატრი ხვენში არც ისეა ფეხმთეადებული და მასზე უფრფერობით არას ვიტყვით. როგორც შემოთას ნათქვამი, როსინიმიო-პირგოვს ხელოვნების ნამდვილ გამოსახატავად უმთავრესად განცდა მაინცაოთ. მართლაც, თუ კი ხელოვნას არ შეუძლია ხელოვნური სახის განცდა, ის არცა ხელოვნის წოდების დიხსი. ხელოვნება ხელოვნის მიერ შექმნილი და გადმოცემული, — აი სიდა არის წმინდა ხელოვნება. ეს უცდომელი ტეშმარიტება, ამის უარყოფა ხელოვნების უარყოფას ნიშნავს.

ხელოვნება თავისთავად მიუკარებელია, ის თავის არსებაში სხვა რამეს, უცნოს ვერ იტყებს.

განა ცხოვრებაშიც ასე არ არის? აილიო რაც გნებავდეთ: წყაროს წმინდა წყალში რომ რმოდენიმე წვეთი ძმარი გაურძოთ, შემდეგ წყალს წველი არ დაქძახება, ის ჰეგრძავს თავის ნამდვილ სახეს, ტემოს, სიწმინდეს.

— ან წყალი დამაფეხენ, ან დვინო, — ეუბნება ვაჭარს ქართული გლეხი, როცა მას, წყალნარეფ დვინოს მოუტანენ.

ხელოვნება ხომ უფრო სათუთია!

ხვენ დოკტორ როსინიმიოზე შორს შეგვიძლია წასვლა და კიდევ უნდა წავიდეთ: საბავშვო თეატრს განცდა ავლია და ამით ის ხელოვნებს დალატობს; ხშირად ხდება, სულ ხშირად, რომ მოზრდილთა სტენასეც ბეგრძო მოთამაშეს განცდის უნარი არ შესწევს, მაგრამ ის მაინც თამაშობს, მრავალჯერ თამაშობს.

თუ კი ხელოვნისათვის აუცილებლად საჭიროა განცდის უტყუარ უნარი, უმთავრესად სათეატრო ხელოვნების ქურუმთათვის, მაშინ, უკვლევია, უამისო „ხელოვნანი“ ხვენ მარტო მახინჯ სახეს თუ გადმოგვტევენ ხელოვნებისას.

თუნდა ხვენი სათეატრო ხელოვნების ზოგიერთ მუშაუთ პირად მტრობათაც რომ ჩამომართვან, მე მაინც ვიტყვო: ვინც წმინდა ხელოვნების ნაცვლად მის თუნდაც ოდნავ მახინჯ სახეს გვიჩვენებს, ის ხელოვნების ქურუმად ვერ ივარგებს და მას უნდა ჩამოშორდეს.

ამ მხრით ხვენი თეატრი გაფინოთ შემდეგ ორიოდე წერილში და დასკვნაც გამოვიტანოთ.

არ. ფანცულაია.

*) მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისეთი საბავშვო თეატრი, სადაც მოთამაშენი ბავშვებია. ავტორი.

მასწავლებელ- ალმზრდელი



ალექსანდრე ივანეს-ძე ნათაძე *)

ერთი მეორეს მისდევენ და უდროვოდ გვესალმებიან ხალხის მოქირანახულე მუშაკნი.

ერთი ასეთი მუშაკთაგანი იყო ალექსანდრე ივანეს-ძე ნათაძე, მასწავლებელი და მწერალი, რომელიც 19 მკათათევს მოულოდნელად გარდაიცვალა სოფ. კირბალში (გორ. მაზ.) და იქვე დაკრძალეს.

ალ. ნათაძე დაიბ. 1864 წ. სოფ. ალევგს (დუშეთის მაზ.); სწავლა დაამთავრა გორის საოსტატო სემინარიაში და სახალხო მასწავლებლობას შეუდგა სოფლად. 1884 წ. მოიწვიეს თბ. ს.თ.-აზნ. სკოლის მოსამზადებელ კლასის მასწავლებლად, სადაც 22 წ. დარჩა. პენსიის დამსახურების შემდეგ გადავიდა ბათუმის გიმნაზიაში ქართული ენის მასწავლებლად. განმათავის უფლებელი მოძრაობის (1905-7წ.) დროს მას დააბრალეს მოძრაობაში მონაწილეობა და სამსახურიდან დაითხოვეს. როდენიმე ხნის შემდეგ მიიწვიეს ქ. ნუხას პირველ დაწყებით უმაღლეს საქალაქო სკოლაში და აქ სიკვდილამდე მსახურობდა.

როგორც მასწავლებელი, ალ. ნათაძე, მუყაითი, ბეჯით და ნიჭიერ მასწავლებლად ითვლებოდა. მაგრამ იგი მხოლოდ ამ მხრივ არ იყო ცნობილი: 80-იან წლებიდან მოყოლებული ქართულ ჟურნალ გაზეთებში ათავსებდა სწავლა-აღზრდის შესახებ წერილებს, საყმაწვილო ამბებს, მოგონებათ და სხ. ხშირად ლექციებსაც კითხულობდა ბავშვის აღზრდა-მოვლის შესახებ.

ა. ნ. შეადგინა პირველდაწყებითი სახელმძღვანელო „ბავშვების შაკეთეა“, „სამშობლო ენის შესწავლის მეთოდიკა“; დასწერა და გადმოაკეთა: „ჩვენი დედა მშობელთა მიმართ“, „მედიკის თავგანსავალი“, „საყმაწვილო ზღაპრები“, „აღზრდა შეილისა“, „ბავშვების მოვლა“, და სხ. 1902 წ. გამოუშვა პედაგოგიური წერილები „ჩვენს დედებსა, მარტივი და ადვილ-გასაგები ენით დაწერილი წიგნი, რომელიც მშობლებს სააღმზრდელო აზრებს აცნობს და ქართველ დედას არიგებს, როგორ აღზარდოს შვილი.

ალ. ნათაძის მთელი სამწერლო მოღვაწეობა მიძღვნილი ჰქონდა ჩვენს სახელმწიფო საქმეებს და საზოგადოებრივ საქმეებს. —საგანი მისი იყო ვაჭარმა ჩვენის ცხოვრებისა—სწავლა-აღზრდის უკუღმართობა. იგი გვასწავლიდა, რომ თუ რიგიანი დედები არ გვეყოლა, არც რიგიანი თაობა აღგვეზრდებოდა. წერით, კერძო თათბირით თუ ლექციებით, ცდილობდა, ქართველი დედებისთვის სწორი და ჩვენის ქვეყნისთვის სასარგებლო სწავლა-აღზრდის დარგებანი მიეცა. მხოლოდ ის ქვეყანაა ბედნიერი, რომლის შვილსაც გონიერი, მამულიშვილურის გრძნობით აღურთოვანებული და ხალხის სიყვარულით გატაცებული დედანი ზრდიან, გვასწავლიდა იგი.

ჩვენი ცხოვრების უკუღმართობამ—მართლა და საზოგადოებრივმა ვარამმა—ალ. ნათაძეს ბევრჯერ შეუშალა ხელი და ნება არ მისცა თავისი სასარგებლო მოღვაწეობა კიდევ უფრო გაეფართოებინა. თავისი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო „ბავშვების შაკეთეა“ რო გამოცა, დიდი ალიაქოთი აუტყვეს, არა ერთ გზით გაჰკიცხეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქვეყნის სამსახურზე გული არ აიკრუა და ჩვე-

ნი სწავლა-აღზრდის საქმეში თვალსაჩინო წვლილი შეიტანა.

ქართველი დედა მადლობით მოიხსენიებს ალ. ნათაძეს და ის ამისი ღირსიც არის.

კურთხეულიმც იყოს ხსენება მისი, მოზარდი თაობის ნამდგარ მუშაკის აღექვსანდრესი.

ს ა ხ ა ლ ხ ი მ უ შ ა კ ი



გიორგი სპირიდონისძე ლომთათიძე

გულსაკლავი და შემზარავია თვითმკვლელობა ახალგაზდა კოოპერატორის გიორგი სპირიდონისძის ლომთათიძისა...

ჯერაც ვერ მოგვინელებია ორ ინიკიერი ახალგაზდას — კიკნა ფშაველისა და გრ-ხერხეულიძის — თვით მკვლეობა, რომ მათზე არა ნაკლებ სასარგებლო მუშაკი გამოგვეჩაღმა...

ნუ თუ ასე დაკნინდა ახალგაზიღობა, ასე მიეშვა ძარღვებით, რომ მხოლოდ სიკვდილში ჰპოებს ხსნას?

ჩვენს თვით აღრძნებასა-კი ექირვება არა თვითმკვლელნი, არამედ თვითმებრძოლნი...

გ. ლომთათიძე ნამდვილი ხალხის შვილი იყო, გლახთაგანი, გურიიდან. დაიბ. 1886 წ. ს. ბახეში. სამინისტრო სკოლაში სწავლის დამთავრების შემდეგ, თბილისის ჩამოვიდა საშუალო სწავლის განსაგრძობად, მაგრამ ეს განზრახვა ვერ შეისრულა და თვითგანვითარებას შეუდგა; ძმის დახმარებით რუსეთს გაემგზავრა სწავლის შესავსებად, გარწა 1905 წ. სამშობლოშივე დაბრუნდა, დღიურ მუშად დაიწყო მუშაობა და პრაქტიკულ მუშაობას შეუდგა, ამავე დროს მწიგნობრობას

მისდევდა. საკუთარ წვრილ მოთხრობათა გარდა, სთარგმნა: „წერილები ძმასთან“, „მუშათა გამაჯგუება ინგლისში“, „მუშა ქალი“, და სხ. დაუბეჭდავი დარჩა მაქ. გორკიდან ნათარგმნი მოთხრობა „დედა“.

ერთხანად ქ. შ. წ. კ. წიგნსთავაკროშიც მსახურებდა, ხოლო ამა 1916 წ. საკოოპერაციო კურსებზე დაამთავრა სწავლა და ამ დარგში დიდი უნარიც გამოიჩინა, თეორიულ თუ პრაქტიკულ მხრივ, მაგრამ აღარ დასცალდა თავისი ძალღონე სავსებით გამოეჩინა: 21 მკათათვეს თბილისში თავი მოიკლა (დარჩა მეთუღლე და მცირე წლოვანი ბავშვი).

მისი სიკვდილი დიდი დანაკლასია ჩვენში ახლად აღორძინებულ კოპეტიულ მოძრაობისა.

დაე, მისი შრომის მოყვარეობა და საქმის სიყვარული წასაბამ მაგალითად ჰქონდეს მოზარდ თაობას. ხოლო ხვედრი-კი — აშობრებოდეს...

ხსოვნა მისი არ წარიხოცება კოოპერაციის მღვდაწეთა შორის.

იოსებ არიმათიელი

კველი აბგავი

ფიქვ თოვლსავით თეთრ წვერას უთქვამს ბევრჯერ თავის გულში: მოურავი უსვინდისოთ ორგულობსო ჩემს მამულში. თესვით მევე მათესვინებს მოწვეულს თვით მიირთმევსო, იხ!! ამაზე მოფიქრება, ნერწყვს მიშრობს და გულს მირევსო, ეს სთქვა და კარი გაიღო!.. ბრძენსა ქვით გაუტეხეს თავი. აბა, ნახეთ მალე მკვლელი, სსუ... ბრძანდება მოურავი,... ქურდულუბ მოკლეს მოხუცი. ამსრულებელი ვალისა, რისთვის ნეტავი? რა შურდათ? თვალ-მარგალიტი ლალისა? ვცით, რაც სურდათ, ვერ ვიტყვი, ენაა დამუნჯებული, ლაგამი რადგანც პირში მაქვ', ორკეცათ ამოდებულო!..

ვარდენ ღვანკითელი

1887 წ. 24 ოკტომბერი.

ლოხვისკაიან

მე მიყვარხარ, ისე როგორც ზღვას მოლურჯოს მზისა სხივი,
 როგორც ნარვიზს—თავ-დანრილსა—ტალღა რბილი, ტალღა ცივი,
 მე მიყვარხარ ისე, როგორც ვარსკვლავებსა ვერცხლის მთვარე,
 როგორც მგოსანს თავის ქნარი, თავის მუზა მოელვარე;
 მე მიყვარხარ ისე, როგორც კრელ-ფარვანას სანთლის 'შუქი,
 მიყვარხარ და ვდნები, ვქრები: პირს დამედო ფერი მუქი,
 მე მიყვარხარ, როგორც ქარსა აშოლტილი ტბის ლერწამი,
 მიყვარხარ და იტანჯება სული ჩემი განაწამი.
 მე მიყვარხარ, როგორც ყვავილს სიო მთიდან მონაბერი:—
 შენ ხარ ჩემი მზე და მთვარე, მაისი და დეკემბერი.

მარიჯან

მ—ს

ხან ჩემი ხან, ხან კი სხვისი,
 ყველას ჰხიბლავ სინაზითა,—
 ქალო შენი შესატყვისი
 ვერ გავიგე ვერასგზითა.

რად ასკიმე წყრომით წარბი?
 არ გიაპა სიტყვა წმინდა?—
 თუ ჩემი ხარ—საით გარბი!
 თუ სხვისი ხარ.—აქ რა გინდა!

წალეფრი.



მსახიობი ნემო

11 მარამ. მისი ბენეფისი ხონში



თ. მაკარი რომანის ძე ჭავჭავაძე (1837-1916)
 სამხედრო-სამოქ ლაქო მოღვაწე. სხვათა შორის მონა-
 წილეობდა სამოციან წლებში სახემწიფო გლეხთა სა-
 დგილ-მამული მომწყობ კომისიაში. დაჯილდოებული
 იყო მრავალი ჯილდოთი. გარდ. 27 მკათაქვეს 1916 წ.

სადა ხარ, სადა!..

სადა ხარ, სადა, ჩემო მნათობო,
 ოჰ, შენს დანახვას როგორ მოველი,
 შენის ლოდინით ვცოცხლობ ჩაგრული,
 მო, გამინათლე ცხოვრება ბნელი!..
 თორემ ფიქრებმა ლამის დამიხშოს
 რწმენის სიმბოლო, იმედის მფენი,
 ლამის გაიქროს მომავლის ცეცხლი
 და დამამსხვრიოს ხსნის ყავარჯენი?..
 შეუბრალებელ ცხოვრების ტალღებს
 ვებრძვი გამირული ცეცხლით გზნებული,
 გეძებ და გინზობ თავ-დავიწყებით
 შენის ტრფილით აღტყინებული!..
 სადა ხარ, სადა, სულის ნექტარო,
 ფიქრის ვარსკვლავო, ვარდო გულისა,
 სადა, ხარ სადა, ჩემო მნათობო,
 შიკრიკო ტანჯვის აღსასრულისა!..

ბ. ვარდოშვილი



ელო ანდრონიკაშვილი

მთარგმნელი „მზის საილუმო“-სი და ელოეს როლის აღმასრულებელი.

„მზის საილუმო“

იგავი 1 მოქმედებად ბ გვიმრისა,

თარგმანი ელო ანდრონიკაშვილისა

Настоящая пьеса под заглавием „Тайна Солнца“ перев. Андроникашвили, разрешена Намѣстникомъ Его Императорскаго Величества на Кавказѣ для представлення на сценахъ края (Отывъ Канцеларіи за № 7126 - 196 14 марта 1913 года, гор. Тифлисъ. И. О. Предсѣдателя Комитета В. Колобовъ. Секретарь Ал. Гусевъ



ივანე ილარიონის ძე ადამიძე

ტომსკის ტექნოლოგიურ ინსტიტუტის მეოთხე კურსიდან თავის ნებით გადიდა თბ. მიხელის სამხედრო სასწავლებელში, აქ სწავლის დამთავრების შემდეგ კავკასიის ასპარზე გამწესდა. ნ თვის სამსახურის შემდეგ როტის უფროაობა მიიღო. საოცარი მაშაცობის გამოჩენისათვის მრავალი ჯილდო აქვს მიღებული. არზრუმის აღების დროს არა ჩვეულებრივი გმირობა გამოიჩინა, მიიღო წმ. გიორგის მეფითხე ხარისხის ორდენი წარდგენილია ოქროს ხმალზე.

გ რ მ მ მ დ ნ ი:

ფარაო — — — ეგვიპტის ხელმწიფე.

ელოე — — — მისი საყვარელი.

ვარსკვლავთმრიცხველი —

ქურუმი — — —

პირველი კარის კაცი — —

მეორე კარის კაცი — — —

- 1 }
- 2 } შიკრიკნი.
- 3 }

სასახლის კაცი, მემუსიკენი, მოცეკვავენი, მონანი, მხედარნი და მდაბიო ხალხი. მოქმედება სწარმოვებს ეგვიპტეში ქრისტეს დაბადების 300 წ. წინათ სცენა წარმოადგენს დიდებულს დარბაზს, ფარაოს სასახლეში. სიღრმეში სვეტების მთელი წყება და გასასვლელი ბანზე, რომელზედაც ჩამოფარებულია ზევიდან ძვირფასი ქსოვილი. ცა შავად მოსჩანს. მარჯვნივ ნიში მემუსიკებისთვის, რომელნიც არ მოსჩანან, რადგან ფარდა ჰფარავს. მარცხნივც კარები, ფარდა ჩამოფარებული, რომელიც ელოეს ოთახში გადის, კარების მარჯვნივ კრამბი ანთია. ძვირფასი, დაბლა გაკეთებული სარეცელი ფაროსათვის, მარცხნივ სდ'ას. მაგიდაზე ხილი და სხვა და სხვა ღვინო აწყვია. პირველი კარის კაცი ზის. მეორე კარის-კაცი მიდი-მოდის. პირველი-კარის-კაცი ქალარა მოხუცია, მეორე შუა ხნის ორივეს ტანისამოსზე ძვირფასი მორთელობა აქვთ.

1 კარის-კაცი. ხომ გავგონე რა სთქვა მოსულმა ვარსკვლავთმრიცხველმა?

2 კარის-კაცი. ამბობს, მზე მხოლოდ მაშინ ამოვა, თუ ვიპოვია თუნდ ორს მაინც გატაცებულს ქეშმარატ სიყვარულითა.

1 კარის-კაცი. მეფე მოღუშულია.

2 კ. კაც. რასაკვირველია შოიღუშება. მეორე თვეა, ნათელ-დღეს ვერ ვხედავთ და ღამეს ბნელსა, უკუნეთსა, სამარისებურ საბურავით მოუბურვივართ, შენ კვხსომება საშინელი იგი საათი? იკლაკნებოდა ელვა ცაში განუწყვეტელად, ჰქუხდა და სქექდა, მოდიოდა გოგირდის სუნით...

1 კ. კაც. გველანდებოდა, თითქოს ზეცა მიწას მიეკვრა. გარე მოგიცვა უკუნეშათ და აქამდისინ უცვლელად დარჩა...

2 კ. კაც. და მზეც მას აქეთ ზღარ ამოდის.

1 კ. კაც. მზიარულების აღმაფრენის დროს, როცა ისმოდა თავბრუს მხევევი სიცილ-კისკისი, როცა მეუფეს სურდა შიშველ ქალწულთა მზერით ნეკტარი ესვა, — გაჭკრენ ეცრათ სხივები მზისა,

2 კ. კაც. მისი გარყვნილება გარდაიქცა საშინელებად. აქამდისინ არ ნახულა, რომ მთელი ქვეყნის ქალწულნი მოეკრიბა და მოგუგუნე მეძავთა გუნდში შეერყენა.

1 კ. კაც. აღარ იცოდა დასასრული ვნებათა დღეღაწი.

2 კ. კაცი ეხლა, როგორც სჩანს, გავგირისხდნენ უკვე ღმერთებო.

1 კ. კაც. (მიუახლოვდება 2 კარის-კაცს და საიდუმლოთ ეუბნება) ვაშინობ, საშინლად დაგვეჯიან ჩვენ, და სიკვდილს ვერ გადურჩებით.

2 კ. კაც. (ვა, ვაგლახ ჩვენ!

1 კ. კაც.— იგი აქ როდის მივეგებოთ. (მარჯვნივ მიდიან და კარებში შესვლების ფარას და ელაკს. ფარას გამ შრადი, მოღუშული მოხუცია. კარებიანი შესვლა და მშვიდებული აქვს. ელაკე ღამისა, წერწერა ქაღალდი, მისუბუქ და ფერად ტანისამოსში, აურებელი სმეკაულებით)

ფარა. (1-ს და 2-ე კარის კაცთ) მე თქვენ გძებდით. (ეჭვით) რას აკეთებდით?

1 კ. კაც. თქვენთვის ღმერთებს ბედნიერებას ვევედრებოდით.

2 კ. კაც. საკეთილდღეოდ ჩვენდა, შენი თავი საუკუნოდ შეგვანარჩუნოს. რომ მზემ ისევე დიდებულათ გამოიბრწყინოს და მოგანიკოს განსვენება, სულის მშვილობა.

ფარ. არ მჯერა თქვენი რწმენა დევარგე ხალხისადმი და მგონია, თქვენც განგებხართ აქ შეკრებილი, რომ ჯადოსნობა გამოიწიოთ მიმუხთლოთ რამე.

1 კ. კაც. აბარას ბრძანებით, ხელმწიფეო!

2 კ. კაც. რატომ გგონიათ!

ყვ. ღ. ან. ყველა (ერთი ვართ სიკოცხლნი შენ შემოგწიროთ.

ფარ. (მწარედ იღიმება) ჩემის გულისთვის ყველაფერი!!! რასაკვირველია მხოლოდ სიტყვებით. (ელაკს) აბა, წავიდეთ, მშენიერო, განსასვენებლად. შენ ჩვენ გვიამბობ ლამაზ ზღაპარს და ღიმი შენი, თვით მზესავით სულსა გავვითბობს.

ელაკე. წავიდეთ, ჩემო მბრძანებლო (სხდებიან ფარას სარტყელზე, დანარჩენნი გარს შემოუსხდებიან.)

ფარ. დამიძახეთ ვარსკვლავთ-მრიცხვე-

ლსა. გაიმეოროს თვისი ბოღვა. ზოგჯერ მოსმენა ამბის გასართობია. (მონა გავს დასაძახებლათ)

1 კ. კაც. ვგ მოხუცი გამოყვეყნდა. რაც ყოველთვის ლაპარაკობს უანგარო სიყვარულზედა. იგი ამბობს, რომ თუ კი სადმე მოიძებნება, ორი ჭეშმარიტ სიყვარულით გატაცებული—მაშინ სიბნელით მოცულს მხარეს, მზე ისევე გაულომებსო; მაგრამ არ ვხედავთ განა ორსა აი აქავე?

ფარ. მერე ვის ხედავთ?

1 კ. კაც. შენ, მარძანებლო, მშენიერი საყვარელითურთ. იგი არ არს განა, რომ უყვარხარ გატაცებით, ვნებათა-ღელვით?! და შენც..... (მუხუც)

ფარ. (გაღუწავებულად) მეც.

1 კ. კაც. ჩამოსული ვარსკვლავ-მრიცხველი უზრდელი, მატყუარა! (შემოდის ვარსკვლავთმრიცხველი. გაჭაღარავებული მოხუცია, ახალგაზრდური, ცეცხლისმფრქვევი თვალებით)

ფარ. ოას იტყვი ახალს?

ვარსკვლავთ-მრიც. ყველაფერი ვსთქვი.

ფარ. კიდევ იმეორებ შენს აბლა-უბლას?

კიდევ ამბობ, რომ მზე მხოლოდ მაშინ ამოვა, თუ ვიპოვით თუნდა ორს მინც, გატაცებულს ჭეშმარიტი სიყვარულითა?

ვარსკ.-მრიც. ვინც გულთ არის წმინდა, აზროვნებით უცოდველი, ვინც. აშეორისთვის სიკოცხლესა მხვერპლად შესწირავს.

ფარ. ერთი უკვეა.

ვარსკვ.-მრიც. ვინ არის იგი?

ფარ. მე.

1 კ. კაც. და მეც მზათა ვარ, ხელმწიფისთვის ყოველ წამში თავი გავწირო; ავიტანო ტანჯვა, წამება, სახრჩობელა და თვით სიკვდილი!

2 კ. კაც. მეც.

ყვ. ღ. ან. მეც!.. ჩვენც!

ვარსკვ.-მრიც. — როგორ ბევრნი ხართ? ძლიერ ბევრნიც? მხოლოდ ორც საკმარისია.

ფარ. შენ სულ იცინი!.. და მეშინის შენმა სიცილმა მწარე ბოლომოდის არ მიგყვანოს...

ვარსკვლ.-მრიც. რა უყოთ მერე? სიკვდილისა არ მეშინიან გაეც ბრძანება ჩამო-

მასჩინონ. მაწამონ, მცემონ!.. გახრწნილებასში ჩაფლული ხარ! აზრი ნათელი არ ეტყობა შენს პირის სახეს. თუ არ ღმერთების განრისხება, შენს ცხოვრებაზედ არ იფიქრებდი.

ფარ. (წამოსტება) ხმა ჩაიწყვეტე, უგუ-ნურო!

ვარსკვ მრიც. თვით შენვე დამიძახე და მიბრძანე მელაპარაკნა.

ფარ. გასწი, გასწი, გიყვებს არა ვსჯი!

ვარსკვ-მრიც მივდივარ, მაგრამ დაიხსო-მე რაც გიხხარო. ძალ-მომრეობის, მატყუე-რობის, გარყენილობის ორმოში ხარა და ერთი გიხსნი, — თუ იპოვება ორი მაინც, რომ გას-წირავდეს სიკოცხლეკა მოყვასისათვის და აზროვნებით იქნება წმინდა, — მზეს დანახამთ, თუ არა და სიკვდილი გელით. (გადის ბანისკენ)

1 კ-კაც. საბრალო გიყი!

2 კ-კაც. თავებდი! საშიში არის!

ფარ. დავეხსნათ იმას! (ეფიქს) შენ გვი-ამბე რამე ზღაპარი. ბაგე გახსენი სინარნ-არით გაიღიმილდი მშვენიერი რამ სხივები შენს თვალში ჰკრთიან და გავიწიონ იმათ მზი-სა მაგიერობა. შეკრბენ, მოიყვანეთ იგივე მხეველნი და იცეკვონ ტკბილ და წარმტაც ვენებათ-ღელვის ხმების ჰანგებზე... საკმარისია დალონება, სულით დაცემა. (შემოდაის მუსი-კოსნი, შოტეკავაჟენი, ტეკავაჟენ. მონები ღვინას დაატარებენ, ტეკავაჟენი აწვდებენ) ჩვენ ყურს შენ გიგდებთ, მშვენიერო. (ეხუჟავა მას)

ელოე არ ვიცი რა ვსთქვა?.. დღეს რა-ღაც მიმძიმს, სუნთქვას მიკრავს და გულს მი-ხუთავს. ისე ბნელა აქ, სიცივეა, სიცალიერე, და ამასთანვე მეშინის შე....

ფარ. ვისი?

ელოე ისე მეშინის! ისე მძლავრი ხარ; ისე დიდი: ისე სასტიკი და მე კი სუსტი.....

ფარ. ნუ გეშინიან! ჩემი სისასტიკე შენ არ მოგწვედება... ჩვენ სმენათა ვართ. (შპ-რავს ჩანგი)

ელოე (დეკაღამატიით)

— მზე ბრწყინვალედა... წყარო ნელად მოჩუხჩუხებდა, ათრთოლებული აჩრდილები ძველი გმირების, აღერსიანად თამაშობდნენ წყაროს ჩქეფებში. — ფოთოლთ შრიალში მო-

ისმოდა ნაზი ჩურჩული, გაუბედავი ვითარ კოცნა გაზაფხულისა... და იგიც იმას ასე ეტ-ყოდა: — მე შენ მიყვარხარ... შენ მიყვარხარ... მიყვარხარ შენა...

— მზე ბრწყინვალედა... ფრინველთ გა-ლობას სინარნარე ემატებოდა. იცინოდნენ ოქროს ღრუბლები. ბამბასავით გადაპენტილნი ოცნების კალთას გვანდნენ და სახუმაროთ ამართულნი ერთმანეთზე გადარბოდნენ... და ის კი იმას განუგრძობდა: — მე შენ მი-ყვარხარ... შენ მიყვარხარ... მიყვარხარ შენა...

. . . მზე ბრწყინვალედა, უფრო ქვევით ძირს იხრებოდა ჰაერი სავსე, სავსე იყო სუ-რნელებითა. ცელქი ნიაფი, მოთამაშე მოქნილ ტოტებს დასჩურჩულებდა, ძარს ზნექვდა! და ის კი იმას კვლავ ეტყოდა: მე შენ მიყვა-რხარ... შენ მიყვარხარ... მიყვარხარ შენა... (სახქარად შემოდაის ქურუმი. ჩანგი შესწევება)

ქურუმი. დიდებულო მბრძანებელო! შენ რომ შეიკრიკნი გააგზავნე სიყვარულის და სი-მართლის მოსაძებნელათ — უკვე დაბრუნდნენ ხანგრძლივი იყო მათი გზა და მასთან ძნელი, თუმცა სულით მაგრათ არიან. ეხლა ელიან შენს ბრძანებას, რომ აქ მიილო.

ფარ. მე მზათ ვარ, თუმცა მშვენიერსა ზღაპარს არღვევენ. მოტევენას ვთხოვ მშვე-ნიერო, მერე გვიამბობ. (1-კარის კაცს) პირვე-ლი იხმეთ.

1 კ-კაც. — (მიდაის მარჯვენა კარებისკენ. სტენის იქით) შემოდი, გელის მბრძანებელი. (1-კარ. კაც — ბრუნდება პირველ შეიკრიკთან კრ-თად. შეიკრიკი შეიარაღებულა, ტუჭქუანია და მტყვრანია)

1 შეიკრიკი. (ფარას წინაშე აჩვენებს) სალამი შენდა მბრძანებელო! გარდმოგივლი-ნოს შენ ღმერთებმა ქვეყნიური კეთილ — დღეობა!

მზის დასავლისკენ მივდიოდი, რამდენს ვილოდი გზათ, აღარ მახსოვს, რადგან რაც განვლე, თანამგზავრათ უკუნეთი ღამე მს-დევდა. უვარსკვლავებოდ, უმოფარეთო იყო გზა ჩემი.

ელო ანდრონიკაშვილი
(გაგრძელება იქნება)

ნაწიეებები გრ. ხერხე- ულიძის დღიურიდან *)

დეკემბრის 18 - 1914 წ.

ადამიანი!.. რამდენი რამ იგულისხმება ამ სიტყვაში. ვითომ სინდისი? გულკეთილობა? პატიოსნება? სად არის, სადა?!. უფუგლივც ეს ფუქსატაობაა, ტუუილი მატულის ჩეხვაა. მამ რა არის ადამიანის გულში დაფარული?!. — მხოლოდ სიბინძურე!

ადამიანის გული ბოხნაა—ნაგვით სავსე. ენა მისი დაუშრეტელი, ამღვრეული, ბინძური წყაროა, რომელიც ასე უხვად რწყავს კანთა კანუბას—ძვირით, შურიით და თვალთმაქცობით... თუნდაც ესაა, იქ, სადაც, იქნება ძალიან ახლოსაც, ბოროტი ენა ვინ იცის რაბერ ანა სწმინდას, ვინ იცის რა ეპიტეტებით არ ამოპს ჩემს შიროვნებას... დაე, დაშინონ, დაე სარკასტიულად იხითხითონ: „ბოროტი კანი დღის სინათლეს ვერსად წაუყვ, თუნდა დასამადად ვოჯოხეთი გადაუფაროს“... ანასეურია. ჩვენ სამეგიეროს არ ვეძიებთ, გადახდას არა ვალოზობთ. შირ იქით სარკასტს შევსთავაზებთ, რათა ჩვენი ისეთი კეთილქმობილური საქციელით შერცხუნილს შეძლებს მიეტეს დაინახოს თავისი გამურული, გაღაფული, ჟანგინი სახე და შემდეგ იქნება მაღლობელიც დაგვიჩვენებს, რომ საჭირო შემთხვევა მივეციოთ თავის უმეტავსობის დახასხვისა... ეს ხომ სხეობრივი სიკვდილი იქმნება იმისთვის, მაგრამ ასეთ სიკვდილს რას ვაქნევთ, თუ ერთის სიკვდილით ათასს სიკვდილისაგან დავისსნათ.

დეკემბრის 21.

უცხოეთში მეოფეს ხშირად ოცნება და ფიქრი მასულდგემულებს, მაგრამ ხანდახან მოგეწყინება ადამიანს ამდენი თავის ტუუება. და მეც ასე შემართება. ახლოს არავინაა... ეჭ, მშობელი

*) უბედურად გარდაცვალებულ სტ. გრ ხერხეულიძის მრავალი ხელითნაწერი დარჩა—პიესები, ლექსები, სხვა და სხვა მეცნიერ-ფილოსოფოსთა ნაწერებების შენიშვნა-დახასიათებანი და ს. მათ შორის აღმოჩნდა დღიური, რომელიც განსვენებულის ძმამ მიხ ხერხეულიძემ გადმოგვცა. ეს დღიური საზოგადო მნიშვნელობას მოკლებული არ არის და ამიტომ დროვამოშვებით დავბეჭდავთ. რედ.

მანც იუვეს გვერდით, რომ ვუთხრას რამე... სოცი ამ ნატურას ბავშობაში ჩამომართმევს; რა ვუყოთ მერე!.. მათ არ უგრძობიათ სიფეარული მშობლისადმი, რომელიც დღე და დამ შვილის სკკითელ-დღეო ზრუნვაშია!..

არც შეგობარია... იქნებ იყო კიდევ, მაგრამ დამშორდა, მერიდებია... ველარ მიცენია; სადი თვალების პატრონი ძალათი თვალებს იხევეს. უფუგელ შემთხვევაში მე ასე მეჩვენება... საქმეს გააჩნია... თვალის ახვევაც არის და თვალის ახვევაც. სოცი განკებ გეჩვენება თვალ ახვეული, წინასწარ აღებული აზრით... იქნებ ისიც ამათ რიცხვს ეკუთვნის!.. არა... დაუჯერეულია... ღმერთო, მამორე ასეთ შავ ფიქრებს!

დეკემბრის 23.

ხშირად ადამიანი კაცს სავსებით ვერ იცნობს. მეც ერთს მათგანს ვეკუთვნი. ერთი თვალის გადავლებით ვხედავ ჩემი შესედულების სიყალბეს. დღეინ მიდიან და ვრწმუნდები, რომ ვერ ვიყავი სათანადო შესედულებისა იმ ადამიანზე, რომელიც თურმე ჩემი ასეთი ძმურის სიფეარულით იყო გატაცებული. ხანდახან დროც, მოუცლდობაც გვაშორებს, ხანდახან ერთმანეთს კიდევაც „წაუხრწოლებთ“ (ჩვენი ტერმინია), მაგრამ სიმი შემართებული ჩვენიერთ სულგანებისა ოდნავაც არ დაჭიმულა. არც გასწყდება..

ვინ არის?—იკითხავთ—რა ადამიანია?.. — უწინარეს უფლისა ის ადამიანია—კიკნა ფშაიელი. როგორია?!. რა ვიცი... ვიცი მხოლოდ, რომ შეგობარია გულისა. მე კი ცუდს, ვერაგ კაცთან რა მექნებოდა სურთო!.. ანასეურია! სხანს ადამიანი უოფილა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. და რომ ეს ჩვენი მეგობრობა გულწრფელი და სამარადისო იუვეს, მე განვიზრახე შევეცადო მთელი ჩემი ძალდონით, ავად თუ კარვად, გამოვსრე მის ლექსთა კრებული. ვგონებ ჩემის სიტყვის ბატონი ვარ და, ვნახოთ რითი გათავდებმა ჩემი განზრახვა. ნეტავი კი სამარცხვინო ზომზე არ გამაქრას ჩემს დღიურში ჩაწერილობა ჩემმა სიტყვებმა!..

(შემდეგი იქნება)

გრ. ხერხეულიძე

მოგონებანი და ვით გივიშვილის შესახებ

ამ დღეებში უცებ გარდაიცვალა სასახლხო მფლექსე, და ვით გივიშვილი, ხალხის აგარგის, მისი ჭირისა და ღვინის მტოდნე.

და ვით გივიშვილი უფრო ცნობილი იყო თბილისის ძველებურ მკვიდრ მოქალაქეთა შორის: მისი ლექსები ჯერ ამითში ვრცელდებოდა, შემდეგ კი სოფლებშიც.

მის ლექსებს მდეროდნენ, როგორც საზანდრებო, ისე სხვა და სხვა ოჯახებშიაც. მისი ლექსთა წიგნები იმ დროს, როცა სხვა წასაკითხი წიგნები ცოტა იყო, გადადიოდა ერთისგან მეორეს ხელში, ერთი ოჯახიდან მეორეში. ამითი იმ დროს ქართული წერა-კითხვა ვრცელდებოდა. —

მასწავს ურთულ ჩუენი ოჯახი და მკვიდრებს ერთი სომხის ოჯახში. იმ დროს ჩუენსაც იყო სტუმრად და ვით გივიშვილი. მამა ჩემს სთხოვეს, თქვენის სტუმრითვე გვეწვიოთ. მამა-ჩემს ამ სომხის ოჯახში უნდა მოეხატა სახლად შეტანილი ვაჟიშვილი. მამა ჩემმა მე და გივიშვილი თან წაკვიფანა, გივიშვილი ამ ოჯახისათვის უცნობი იყო.

ნათლობის შემდეგ გაიშინა სადილი უწინდებურ საზანდრით. ბოლოს ამ ოჯახის უფროსმა, თავის შვილი-შვილის ნათლობის სიხარულით სურფასუ საზანდრებთან ერთად სიმღერები დაიწყო: კაი მომდგრა ღიხანდა, თუმცა ხანში შესულიყო.

სხვათა შორის მოხუცმა ერთი ლექსი დაიწყო სიმღერით, მაგრამ ხსოვნამ უდალტა და ბოლოში შესდგა. ძალიან სწუნდა რომ ვერ დაბოლავა ეს მშუენიერი ლექსი, სურველან უქმბდა ამ ლექსის დაბოლოებას ძალიან საინტერესოაო. ბოლოს დაუხსა ერთს თავისიანს და სოხოვა მამა და ამ ოჯახში მიიბრინე და სთხოვე ჩემს მატორათ, იმ დღეს რომ ახალი ლექსების წიგნი გახსოვეთ გამომაცხანეთოქო.

მოხუცი მომდგრა იმ წიგნის მოლოდინში იკონებდა და ვიწვებულ ლექსის ადგილებს, მაგრამ ამით. ბოლოს გივიშვილმა სიცილით და თანაც მოკრძალებით სთხოვა მოხუცს: „ბობია, აბა დაიწვე კიდევ ის ლექსი, მე მოკატონებ რაც დაგავიწყდა“.

ეს იუკადრისა მოხუცმა და და ვით უნასუხა: „შენ საიდან გეცოდინება, რომ ჯერ მეც სეზირათ კარვად არ მაქვს შესწავლილიო?!” დაღეს მე ვიყოდე ახალი წიგნი გივიშვილის ლექსებისა, მეზობლიანთ მთხოვეს, მეც ხათრი არ გაუტეხეო.

რადგანაც წიგნის მოტანა დაგვიანდა, გივიშვილმა მოატანა მოხუცს იმ ლექსის და ვიწვებული ადგილები. მოხუცი დიდს სიხარულს მიეცა გაუვირდა და დიდს ზეიძით დასწრულას ლექსი.

ბოლოს გავიკრევებულმა მოხუცმა შენიშნა გივიშვილს: „თქვენ უფრო კარვად ცტოდინათ ის ლექსით“. ამასე მამჩემმა დაუმტა: „ის ლექსი ამის შეთხზულია და თვით ეს არის და ვით გივიშვილი“.

თურმე მოხუცი მასწინძელი ძველი და ახალი ქართული ლექსების მტოდნე ეოფილიყო და თვალურს ადგენებდა აკრედევე გივიშვილის ლექსებსაც ძალიან გაუხარდა მისი ასეთი უცნობი განცობა. დანარჩენი სადამო იმ დღეს თითქმის გივიშვილის ლექსებს მოანდომეს. მოხუცი იგონებდა სხვა და სხვა მისი ლექსებს, თვით გივიშვილიც უმტებდა შიგა და შიგ გამოტოვებულ ლექსის ადგილებს, რომელიც ვერ დაბეჭდილიყო. ბოლოს გივიშვილმა მატარა ლექსი — სადღეგრძელო უძღვანა ახლად მონათლულს. ასე, რომ მთელი ის სადამო მოულოდნელად გადაქცა თითქმის სალიტერატურა-ოკაღურ სადამოდ.

მე ვიქმნებოდი სურთი წლისა, რომ ჩუენს ოჯახს დიდი უბედურება ეწვია: დედა ჩემს გაუფრთხილებლობის გამო ადულებული სამოკრის წვალი გადაესხა და ამის გამო დიდს წვალებით ორს დღეში გათავდა. ეს უბედური შემთხვევა და ვით გივიშვილმა გამახატა ერთს თავის მატარა ლექსში, ადგილი ამ ლექსისა დედაჩემის საფლავის ქვასედ იქმნა ამტკრილი მამინდელოდრის, ე. ი. ამ მამ წლის წინეთ. ეს საფლავის ქვა, ესლან არის ვერის ქართველთა გაუქმებულ სასაფლავსე.

მის ლექსებს დიდი გავლენა ქქონდა მდბიო ხალხსე და ეს საბუთიანიც იყო: მისი სიმღერები, ზღაპრები თუ სხვა დარგის ნაწარმოებნი ჭკვის დამოკრეველნი, ზნეობრავად აღმზრდელები იყვნენ და არიან. აბ ასეთი კარგი გარ-

დაწვდილას სიღარიბეში და უმწოდ დაჩხინას ცოლი და ოთხი შატარა შვილი. ჩემის აზრით ამით დახმარება ესაჭიროება.

ამასთანავე გახსლებთ ხუთს მანეთს, უმორხილესად გთხოვთ ეს ჩემი წვლილი მათ გადასცეთ.

ერთი მოქალაქეთაგანი

წერილები მეგობართან

ქართველ მუსულმანების შესახებ

დიდი უმადურობა იქნება ჩემი მხრით, რომ ეფენდი ზაქარია კიკინაძის შესახებ არაფერი ვთქვა.

კაცო ვახანის შესახებ ილია კლავჯაძე ბრძანებს: „ბავშმაც კი იცის, ვინ არის კაკო“. სწორედ ესევე შეიძლება ითქვას ეფენდი ზაქარიას შესახებ. სადაც უნდა მიხვიდე, ვისაც უნდა გამოეღაზნაკო ეფენდიან აქეთაგან სამაჰმადიანო საქართველოში გქმის ზაქარია კიკინაძის სახელი. ხშირად დადიოდა ამ ქვეყანაში ზაქარია კიკინაძე და თავისი გულთბილი სიყვარულით დასტურულ მოძმეთა მიმართ მათ შორის სახელი და პატივისცემა მოიხზავს: ბეჭდვად და ხვრტყელებად წიგნებს, ზიარდათ საუბრობდა დაშორებულ ძმებთან, პატივით ემუხრობოდა მათს სალოცავს, მათს ადათებს, მათში დაჩხინილ გადმოცემებს და ღეჟსებს, აძლედა რჩევად რჩევებს, მოქმედებდა წესიერი სახით და ამის შეთანხმებით მოიხზავს ჩვენი მოძმეთა სიყვარული.

— „ზგი ეფენდი ზაქარიამ რომ წიგნები დაგვირიცხა, იქანა სწერას. დიდებული ვოფილას თამარ შეეუა“.

ბეჭდვის შეტეხული ქართველი მუსულმანი და მოკუეუება შენ შიერ ცნობილ ამბებს თამარ შეფის შესახებ.

დიდი ღვაწლი მიუძღვის მართლაც ეფენდი ზაქარიას ქართველ მუსულმანების და საქართველოს წინაშე. იმის შესახებ იტყვიან „მეცნიერული ნასკვები არ აქვსო მის ნაწერებს“...

ეფენდი ზაქარიას არ ჰქონია მიზნად სამეცნიერო მუშაობა. მისი საგანი იყო კეთილხინდი-სიერათ შეგეროება სხვა და სხვა მისხდა: ნა-

ხული და გავონილი და ეფენდიე ეს კალმის საშუალებით ქადაგდისთვის გადაეცა. დაე, სხვა, უფრო მასზე შეტეხიერმა, ისარტებლას ამ მასხლით... განაგდოს მისი ნაწერებიდამ ის ნაკლნი, რომელნიც მათ აქვსო... უხაკლელო არა არის რა ქვეყნად.

იმდენად გატაცებული იყო ეფენდი ზაქარია აქეთ მოგზაურობით, რომ არ ერიდებოდა არც დაღლას, არც სნეულებას, არც გატეხვებას, არც სიკვდილს. ერთხელ 1894 წ. ზაქარია ბათომიდაში თბილისს დასწეულებული მოდიოდა... ერ-წასული, დაშაღ ცევებით შეპერობილი; ძლივს დადიოდა; საჩვენო აღარ იყო... შემოხვევით ერთმა მისმა მეგობარმა, რომელმაც მას სთხოვა გარში დაჩხინა, სადილი გაუმართა: ორი ბოთლი ღვინო და თეთრი ცნობილი ღვინო ტენისა (სოფ. გორის ხსლას) დალევიანა. ერთი კერძი ზიღბილ დაერაღ მწვადისა შეკვამა, დაძინა, თბილად დახურა მას, ოფლი ბლომად მოუყიდა. გამთელდა კაცი... განარებული თბილისს გაემგზავრა... ღვთით დღესაც ცოცხლია ჩვენი ეფენდი!

ჩვენში სამწუხაროდ, ჯერ კიდევ თავდაზნაურული შეხედულებას მოღვაწეებს: თითქოს არ ვაფასებთ იმ ზირთა ღვაწლს, რომელნიც არ ეკუთვნიან თავდაზნაურულ წოდებას ან დიდი ხარისხის პატრონები არ არიან! მშრომელ საღხს შრომის შეიღს, მდაბალ წოდების მოღვაწეს თითქოს არაფრათ ვაგდებთ. სადამდის?!

შენი ერთგული ჩაქუჩი.

ფშაური ლექსი

ზოგწყინდა თამარ ქალაო,
იკელიე-გორანა ტიალი,
გადახველ კევილიან შია,
შენს კაბას გააქვს შრიალი,
წაწლის ნახუქარ ფულუმბსა,
ჯიბეში გააქვს ჩხრიალი,
შენებ დაქსოვილ წინღებსა
რამთვენგანა აქვს ჯვრიანი.

გედ. გელოვანი

ხალხური სიბრძნე

გურიამი შეკრებილი ანდაზები

(გაგრძელება იხ. „თ. ლა“ № 31)

ჩუმ-ჩუმათობა ოჯახის დამქცევიაო.

ბელაურები დაწყდაო, ვირს მაიდანა დარჩაო.

მკუჭე მსხალი ღორსო, მკუხე მოლაზონსო.

აჩელიას ყანა მქონდა, ბაჩელიას—ნალიყო.

კი ხარ გორიო, კი გძევს თოლიო!

ასმა კაცმა ასი კაცი იტიაო.

მტვერი იყარე დიდი გორისო.

ფრთხილთა დედანი არა სტიროდენო.

ქვეყანა იქცეოდაო, ტურას ქორწილი ჰქონდაო.

შვილმა გული გეიარა შვილიშვილმა—გულის გული.

ფონი გასავალს დალოცუო.

ბურთი მოძალისაო.

ზღვას ეძალებოდა ცვარმა დაარჩოო.

შეძახებულო, —წყალ-წაღებულო.

ერთი შერჩა მელასაო, კიდო ელის კბენასაო.

მაშენებელი წაწყდესო.

გიორგი ლომთათიძე



დ. ბორჯომში 27 მკათათვეს მეყვე წყლის სათეატრო შუნობაში ჩვენმა ნიჭიერმა მსახ. ობ-ქალმა ნ. ჯავახიშვილისამ გამართა წარმოდგენა. წარმოდგენის ა. ცაგარლის ჰ მოქმ. კომ. „ხანუმა“. მონაწილეობდნ: ქ. ქ. ნ. ჯავახიშვილი, თ. აფხაზიშვილის და იონესიანცისა; ბ. ბ. ი. ჟივიძე, პ. ხუციშვილი, დ. ძნელაძე, ი. ბეჟიტაშვილი.

ქ-მა ჯავახიშვილმა ხანუმას როლი ზედ მიწვენით განასახიერა. ისეთი ტემპერამენტი, ისეთი სიცოცხლე შეიტანა პიესის მთლიანობაში, რომ ესაე განსვენებული ნატო გაბუნია და ელ. ჩერქეზიშვილი უნახავს ამ როლში, ქ. ჯავახიშვილს აუცილებლად მესამე აღ-

გილს მიაკუთნებდა ხანუმას შემსრულებელთა სიაში. მეტად კარგად და ცოცხლ-დ ჩაატარა მსახიობმა ჟივიძემ ორი როლი: მსახური ტიმოთე და ტერტუ-ანთ აკოფა. ჟივიძემ იმდენი ენერგია გამოიჩინა დ. ბორჯომში ხანმოკლე ყოფნის დროს, იმდენი ცხოველმყოფელი სხივები შეიტანა აქაურ სათეატრო საქმიანობაში, რომ სამართლიანად დაიმსახურა ადგილობრივი საზოგადოების სიყვარული და პატივისცემა, რაც მტკიცდება იმით, რომ ყველა ქართულ წარმოდგენებს ხალხი ბლომად და ხალისიანად ესწრება.

კარგი ქაბატუა იყო ქ. თ. აფხაზიშვილისა, რომელმაც სარას როლიც შესარულა შესაფერი დაკვირვებით. მოისუსტებდა თ-დ ვანო ფანტიაშვილის როლში პ. ხუციევი; მოხდენილად და ცოცხლად ჩაატარა თ-დ კოტე ფანტიაშვილის როლი დ. ძნელაძემ; უსიცოცხლოდ დაგვიხურათა სონას როლი ქ. იონესიანცის. მ. რაიცი მიეწერებოდა როლის უცოდინარობას. კარგი მიკიჩ ტყუილ-კოტრინაცი იქნებოდა ივ. ბეჟიტაშვილი, რომ როლი სცოდნოდა. საერთოდ, როგორც ეს ჩვეულებათ აქვთ გადაქცეული პროვინციის ყველა სცენის მოყვანეთ, ბორჯომელი სცენის მოყვარენიც მეტად განზე გაურბიან როლჭის შესწავლას და აი, ეს მოვლენა ხდებდა ხოლმე მიზეზად პიესების მწყობრი ანსამბლისა და შინაარსის დარღვევისა.

აფიშაში, გარდა ხანუმასი, გამოცხადებული იყო კ. ყიფიანის კომ. „დატრიალდა ჯარა“, რომელიც საპალო მიზეზთა გამო ვერ დაიდგა. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო და ნასიამოვნებიც დაიშალა. დასასრულ არ შეიძლება ბორჯომის სათეატრო ცხოვრების ორ გარემოებას არ შევებო ორიოდ სიტყვით: პირველი-ადგილობრივ სცენის მოყვარეთა შორის გაჩაღებული ინტრიგა და მეორე—ის, რომ ყველა აქტის დასრულების შემდეგ, აბლოდისმენტის მაგიერ, დაუსრულებელი და გულშემზარავი სტვენა გაისმის ხოლმე დარბაზში და როგორც შეგნებულ მსმენელზე, აკრულვე ივით მსახიობზედაც მეტად მძიმე და სამწუხარო შთაბეჭდილებას სტოვებს.

ნიკო გურული

დ. ლაგოდეხში შაბათს 23/VII მონახისე ჯარის-კაცთაგან შემდგარმა სცენის მოყვარეთა წრემ ყაზარმაში მოთავსებულ სცენაზე წარმოადგინა „სკაპენის ცულუტობა“ და „მათიკო“ (მესამე მოქ.), დასასრულ გაიმართა დივერტისმენტი (წაიკითხეს საკუთარი ლექსები ს. აბულაძემ და შ. მოლაშვილმა. იყო სცენებიც). კომედია მწყობრად ჩაიარა, თუმცა ტანისამოსის შეუფერებლობა შესამჩნევი იყო. „მათიკა“-კი სუსტი იყო. საზოგადოება ნაკლებად დაესწრო, მომეტებულად ჯარის-კაცი იყვნენ. აქ ყოველ კვირა იმართება წარმოდგენები ქართულ-რუსულად. დამსწრე.

სიღნაღის „ახალ კლუბის“ დარბაზში სცენის მოყვარეთა წრემ ნ. გვარამის რეჟისორობით და მონაწილეობით 24 მკათათვეს წარმოადგინა ბელორის 4 მოქმედებიანი დრამა „უშუშევარი“. წარმოდგენა მოი-

სუსტებდა, რადგან ზოგიერთა მონაწილემ როლი ხეირიანად არ იცოდა, (რაც ფრიად არა სასიამოვნო მოვლენა ახლად გაფურჩქნის სცენის მოყვარეთა მხრივ). ამ ზაფხულის სეზონში ეს მეათე წარმოდგენა და სულმოდამ ეს ნაკლი იჩინს ზოლმე თავს. ამ „დადგენილებას“ რომ გადაუხვიონ და მუყაითად მოეკიდნენ საქმეს, ძალიან კარგი იქნება. მშვენიერად შეასრულათ თავი: როლი ბ მა გვარაძემ (ვახია). დანარჩენებიც უკეთესნი იქნებოდნენ, ვიმეორებ, როლებზე რა უკეთ სკოდნოდათ. კიდევ ერთი პატარა შენიშვნა ბ-ნ გვარაძეს: მეტი ყურადღება მიაქციოს სცენის მოწყობილობას და გრომებს.

კ. ძია

წვრილი ბებები

➔ **მსახიობი მ. არაღელ-იხნელი** ცხენიდან გადმოვარდა: ამოვარდა ორივე ყბა, კბილები ჩასცივდა, ნიკაპი დაწე ჩქვა.

➔ **შურს. „თეატრი ცნობარები“** სასარგებლოდ მივიღეთ: გიორგი ანდრის-ძი მალრახისაგან 1 მ.

➔ **სონის თეატრში** 11 მარიაობისთვის გაიმართება მსახიობ ნემოს ბენფისი.

➔ **„დაპირილი ოკრი“**, ერთ მოქმედებიანი დრამა ს. ერთაწმინდელისა, ცალკე წიგნად გამოვიდა, შეიცავს 30 გვ. ფ. 20 კ. გამოცემა გ. საგანელიძისა.

ქართულ მოღვაწეთა საბავარაოს ადგილი შეათვალეირეს ქვიშეთს, წაღვერს, ცემსა და სურამში.

➔ **წაღვერში** ამას წინაღ ი. გრიშაშვილისა და ალ. იმედაშვილის მონაწილეობით გამართულ საღამოს აუარებელი საზოგადოება დაესწრო.

ისტორიული ცნობა

პირველი წარმოდგენა ქვიშეთში დაიდგა 50 წლის წინაღ დიმიტრი ყიფიანის ხელმძღვანელობით და მოკარანახეობით. წარმოდგინეს გ. ერისთავის „გაყრა“. მონაწილეობდნენ: ქ-ნი ამირჯიბის ასული ციმაკურიძისა და ერთი ცხვა ქალი; ბ-ნი ლევ. აბაშიძე, მიხ. ციმაკურიძე, ზაზა ყიფიანი, სცენის მოყვარეთა სულის ჩამდგმელი დ. ი. ყიფიანი იყო: შეკრებდა, ამზადებდა, უმარტავდა, როგორ განესახიერებინათ ესა თუ ის ხატება და სხ.

წერილი რედაქციის მიმართ

მ. ხ. ქ-ნო რ-რო! ჩვენ ხვარბეთის საზოგადოების კოოპერატივის წევრნი, უგულითადეს მადლობას უძღვნით ბ-ან მ. სიორიძეს, რომელმაც გარდაცვალებული ი. ტულუშის საპატივსაცემოთ ერთის წლით გამოვიწყრა ჟურ „თეატრი და ცნობარები“ და „სახალხო ფურცელი“. ვუსურვებთ სხვებსაც მიეციონთ ყურადღება დაობლებული სოფლისათვის და დახმარება გაეწიონთ მის წინსვლისათვის.

ამხანაგების მონდობილობით ბ. ხვარბეთელი.

ახალი კლუბი 1 კვირის პროგრამა

ორშაბათი — რუსული ოპერეტა

სამშაბათი — სიმფ. კონც. რასტრაფოვიჩის

ოთხშაბათი — სიმფ. კონ. რასტრაფოვიჩის ბენფის

ხუთშაბათი — ქართ. წარმ. (უფას.); საზანდარი

პარასკე

შაბათი — სიმფ. კონ. სარაჯიშვილის მონაწი.

კვირა — საზავო საღამო, მუს.სინემატ.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 საათ.

წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8¹/₂ სა
სამშაბათს და შაბათს იხიან: მანდილოსნები და
ტულენტები (ფორმ.) 6 ნ კ. მამაკაცები 1-05 კ.

სარჯიშვილის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 131)

ერთი კვირის პროგრამა 7-14 აგვისტო

კვირა — კონცერტი ვანო სარაჯიშვილის მონაწილეობით; საზანდარი.

ორშაბათი — სინემატოგრაფი; სამხ. მუსიკა.

სამშაბათი — კონცერტი კაბარე; სინემატოგრაფი ორკ.

ოთხშაბათი — ქართული წარმოდგენა; ბალ-
ო საზმედრო — მუსიკა

ხუთშაბათი — სინემატოგრაფი; საზანდარი.

პარასკე — სინემატოგრაფი; სამხედრო მუსიკა.

შაბათი — საღამო — მეჯლისი; სიმებიანი ორ-
კესტრი,

კვირა —

წარმოდგენა-კონცერტებზე შესვლა უფასოა



რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა